



საქმე №8/ზ-06-17

გ ა ნ ჩ ი ნ ე ზ ა
საქართველოს სახელით

5 ივნისი, 2017 წელი

თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ
შემდეგი შემადგენლობით:
თავმჯდომარე: კახაბერ მაჭავარიანი
მოსამართლეები: გერონტი კახეთელიძე
მაია თეთრაული

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ **თ. ბ.-ს** სააპელაციო საჩივარი ნასამართლობის მოხსნაზე უარის თქმის შესახებ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 24 აპრილის განჩინების გაუქმების თაობაზე.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 14 თებერვლის განაჩენით, **თ. ბ.** ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით, განესაზღვრა 3(სამი) წლითა და 6 (ექვსი)თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდაც გადაევადა 2011 წლის 28 სექტემბრამდე სანამ მის შვილს არ შეუსრულდებოდა 5 წელი.

საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, **თ. ბ.-ს** დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 7000 ლარი;

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 12 მარტის განჩინებით, **თ.ბ.-ს** 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე 1/3-ით შეუმცირდა 2008 წლის 14 თებერვლის განაჩენით დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ, განესაზღვრა 2(ორი)წლითა და 4(ოთხი)თვით თავისუფლების აღკვეთა, რისი მოხდაც თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 14 თებერვლის განაჩენით გადავადებული ჰქონდა 2011 წლის 28 სექტემბრამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 10 მაისის განჩინებით, **თ. ბ.** გათავისუფლდა დანიშნული სასჯელის (გადავადებული სასჯელის) მოხდისაგან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 24 აპრილის განჩინებით, მსჯავრდებულ **თ. ბ.-ს** შუამდგომლობა ნასამართლობის მოხსნის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება, სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა **თ. ბ.-მ**, რომელმაც მოითხოვა მისი გაუქმება და ნასამართლობის მოხსნა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ, თ. ბ.-ს შუამდგომლობა ნასამართლობის მოხსნის თაობაზე არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ მსჯავრდებულის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილ შუამდგომლობაზე თანდართულ მასალებში არ მოიპოვებოდა ინფორმაცია თ. ბ.-ს მიმართ 2008 წლის 14 თებერვლის განაჩენით დანიშნული ჯარიმის - 7000 ლარის გადახდის თაობაზე, კერძოდ, 2006 წლის 24 აგვისტოს თ. ბ.-ს მიერ გადახდილია 3000 ლარი გირაოს სახით, მაგრამ აღნიშნული თანხა გადარიცხულია თუ არა სახელმწიფო ბიუჯეტში, წარმოდგენილი მასალებით არ დასტურდება, ასევე, თ. ბ.-ს მიერ გადახდილია ჯარიმის ნაწილი - 4000 ლარი, თუმცა 2008 წლის 15 თებერვლის საგადასახადო დავალებებში აღნიშნული თანხის დანიშნულება მითითებული არ არის. სააპელაციო სასამართლოში თ. ბ.-ს მიერ დამატებით იქნა წარმოდგენილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს 2017 წლის 23 მაისის წერილი, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ სააღსრულებლო ბიუროში მასზე ჯარიმის დაკისრების თაობაზე, სააღსრულებლო ფურცელი რეგისტრირებული არ არის და დღეის მდგომარეობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხის დაკისრებასთან დაკავშირებით თ. ბ.-ს მიმართ სააღსრულებლო წარმოება არ მიმდინარეობს.

სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი გადახდის ქვითრებით დასტურდება, რომ თ. ბ.-ს მიერ გირაოს სახით გადახდილი 3000 ლარი და დარჩენილი 4000 ლარი სწორედ მისი ბარალდების საქმესთან დაკავშირებით არის გადახდილი, რომლის მიმღები ერთ შემთხვევაში არის საქართველოს გენერალური პროკურატურა, ხოლო მეორე შემთხვევაში სახელმწიფო ხაზინა.

პალატა ამით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თ. ბ.-ს მხრიდან განაჩენით დანიშნული დამატებითი სასჯელის -ჯარიმის გადახდისგან თავის არიდებას ადგილი არ ჰქონია და სააღსრულებლო ბიუროში მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, სააღსრულებლო ფურცლის არ არსებობა ვერ გახდება მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი. მით უმეტეს მაშინ, როდესაც თანხა რეალურად გადახდილია.

პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებასაც, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 10 მაისის განჩინების მიხედვით, თ. ბ.-ს სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებას სწორედ მის მიერ ჯარიმის გადახდა დაედო საფუძველად.

ამასთან, საქართველოს სსსკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასჯელისგან გათავისუფლებული ითვლება ნასამართლობის არ მქონედ, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად პირს ნასამართლობა გაქარწყლებულად ეთვლება თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებისას, სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ. კონკრეტულ შემთხვევაში თ. ბ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 10 მაისის განჩინებით გათავისუფლდა დანიშნული სასჯელის(გადავადებული სასჯელის) მოხდისაგან, ხოლო ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე მას განაჩენით დანიშნული დამატებითი სასჯელი გადახდილი აქვს, რომლის გადახდიდან ერთ წელზე მეტია გასული.

ამდენად, დღეის მდგომარეობით თ. ბ. ითვლება ნასამართლობის არ მქონედ და შესაბამისად, პალატა მის მოხსნაზე ვერ იმსჯელებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატა მიიჩნევს, რომ აპელანტის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 24 აპრილის განჩინება უნდა გაუქმდეს.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილით და საქართველოს სსსკ-ის 291-ე მუხლით,

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ **თ. ბ.-ს** სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 24 აპრილის განჩინება, **თ. ბ.-სთვის** ნასამართლობის მოხსნაზე უარის თქმის შესახებ;
3. ამ განჩინების გამოტანიდან **თ. ბ.** ჩაითვალოს ნასამართლობის არ მქონედ.
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე:

მოსამართლეები:

კ. მაჭავარიანი

მ.თეთრაული

გ. კახეთელიძე